

ცხოვერის და ფრინველის წამებისთვის სასჯელი ზომები მკაცრდება



ცხოვერებისადმი სასტიკი და არასათანადო მოპყრობისათვის გათვარისწინებული სასჯელის ზომები მკაცრდება. კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი პარლამენტის წევრებმა კახა კუჭავამ, მაზა ხუციშვილმა, სურხან

მახათაძემ, ნინო წილოსანმა და გელა სამხარაულმა მოამზადეს. ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართადღარღვევათა კოდექსში შევა, და პროექტი პარლამენტის ბიუროს 18 თებერვადს წარედგინება.

ცვლილებების მიხედვით, ცხოვერისა და ფრინველისადმი არასათანადო მოპყრობა 100 დარიდან 500 დარამდე ოდენობით დაჯარიმდება. არასათანადო მოპყრობა გურისხმობს მათ წვადებას, ტანჯვას, ტკივირის მიყენებას, სხეურის დაზიანებას, ფიზიკურ შეწუხებას, როგორც ერთჯერადად, ასევე განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.

კანონში ასევე იგეგმება რომ ჩაიდოს ნორმა, რომედრიც არასრურწლოვნის მიერ ცხოვერისა თუ ფრინველისადმი არასათანადო მოპყრობის ფაქტებს დაარეგურირებს. კერძოდ, არასრურწლოვნის მიერ ასეთი დანაშაურის ჩადენის შემთხვევაში კოდექსს ემატება მშობრის პასუხისმგებლობა – არასრურწლოვანის მშობერი ან მისი შემცვლერი შესაძლოა 100-დან 300 დარამდე დაჯარიმდეს.

ცვლილებები იგეგმება სისხრის სამართრის კოდექსშიც. კერძოდ, ცხოვერის მოკვდინება “ადმინისტრაციური სამართადღარღვევათა კოდექსით” გათვარისწინებული აღარ იქნება და სისხრის სამართრის დანაშაურებრივ ქმედებად ჩაითვდება.

კერძოდ, ცხოვერის წამება, სასტიკი მოპყრობა, რამაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია, დაისჯება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, ვადით **120-დან 240** საათამდე, შინაპატიმრობით ვადით **6 თვიდან 1 წლამდე**, ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით **1 წლამდე**.

იგივე ქმედება, ჩადენილი: ჯგუფურად, არაერთგზის, მცირეწლოვნის თანდასწრებით, გამოიწვევს სისხლის სამართლის წესით დასჯას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით **200-დან 400-საათამდე** ან შინაპატიმრობით ვადით **1-წლიდან 2-წლამდე**, ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით **3 წლამდე**.

“დღეის მდგომარეობით, ცხოვერებისა და ფრინველებისადმი სასტიკი მოპყრობისათვის ჯარიმის ოდენობა არის შრომის ანაზღაურების ერთი მინიმალური ოდენობა (40 ლარი). შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში არსებული სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართადარღვევათა კოდექსის 104-ე მუხლის დარღვევისათვის გამოვდენილი სამართადარღვევათა რაოდენობა წლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: 2015 წელი – 2 შემთხვევა; 2016 წელი – 0; 2017 წელი – 0; 2018 წელი – 3 შემთხვევა. “სისხლის სამართლის კოდექსის” 259-ე მუხლის დარღვევისათვის გამოვდენილი დანაშაულის რაოდენობა წლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: 2015 წელი – 19 შემთხვევა; 2016 წელი – 15 შემთხვევა; 2017 წელი – 23 შემთხვევა; 2018 წელი – 58 შემთხვევა”, – ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.